თვითმმართველი ქალაქის –ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
№1

ქ. ქუთაისი 6 თებერვალი 2014 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ნოდარ მიქიაშვილი –ქ. ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის თავმჯდომარე.

ზურაბ გაბიძაშვილი –ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

მალხაზ ბასილაძე – ქ. ქუთაისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი.

ანდრო მარჯანიშვილი - ქალაქ ქუთაისის მერიის ქალაქდაგეგმარებისა და ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი.

კახაბერ დალაქიშვილი - ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქუთაისში ავტოქარხნის დასახლებაში მდებარე ახალი სასაფლაოს (ქ. ქუთაისის ჩრდილო დასავლეთით ავტოქარხნის დასახლება გორა-საქუსლია) შიდა ტერიტორიის და კიბულის (ვარდიგორა) სასაფლაოსთან (ქ. ქუთაისის ჩრდილო დასავლეთით გელათის ქუჩიდან ჩასასვლელი) მისასვლელი და შიდა გზების მოწესრიგებისათვის ბეტონის საფარით მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (საკონკურსო წინადადების თანხა 3500 (სამი ათას ხუთასი) ლარი) შედგენის შესახებ.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრმა მალხაზ ბასილაძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგთან დაკავშირებით – საკონკურსო განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის - ქალაქ ქუთაისში ავტოქარხნის დასახლებაში მდებარე ახალი სასაფლაოს (ქ. ქუთაისის ჩრდილო დასავლეთით ავტოქარხნის დასახლება გორა-საქუსლია) შიდა ტერიტორიის და კიბულის (ვარდიგორა) სასაფლაოსთან (ქ. ქუთაისის ჩრდილო დასავლეთით გელათის ქუჩიდან ჩასასვლელი) მისასვლელი და შიდა გზების მოწესრიგებისათვის ბეტონის საფარით მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (საკონკურსო წინადადების თანხა 3500 (სამი ათას ხუთასი) ლარი) შედგენის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ: ნოდარ მიქიაშვილმა.
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ: ზურაბ გაბიძაშვილმა.
კომისიის წევრმა: ანდრო მარჯანიშვილმა.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის მიერ, ქალაქ ქუთაისში ავტოქარხნის დასახლებაში მდებარე ახალი სასაფლაოს (ქ. ქუთაისის ჩრდილო დასავლეთით ავტოქარხნის დასახლება გორა-საქუსლია) შიდა ტერიტორიის და კიბულის (ვარდიგორა) სასაფლაოსთან (ქ. ქუთაისის ჩრდილო დასავლეთით გელათის ქუჩიდან ჩასასვლელი) მისასვლელი და შიდა გზების მოწესრიგებისათვის ბეტონის საფარით მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვისათვის წარმოდგენილი განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტი.

2. კონკურსი ჩატარდეს 2014 წლის 12 თებერვალს 12:00 საათზე.

3. საკონკურსო წინადადებების მიღების ვადათ განისაზღვროს 2014 წლის 12 თებერვლის 10:00 საათიდან 12:00 საათამდე პერიოდი.

4. საკონკურსო წინადადებების მიღების ადგილად განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის–ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური (მის: 4600, ქქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, მე–3 სართული, ოთახი №323).

5. საკონკურსო განცხადება (თანდართული დოკუმენტებით) გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მის ოფიციალურ ვებ–გვერდზე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: ნოდარ მიქიაშვილი

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ზურაბ გაბიძაშვილი

კომისიის წევრები:

მალხაზ ბასილაძე

კახაბერ დალაქიშვილი

ანდრო მარჯანიშვილი